



## **ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 64, 65)**

- არეგულირეთ საარჩევნო უბანში შემოსულ ამომრჩეველთა ნაკადი.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მონიშვნა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
- ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმეთ, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება, და მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აქვს, მიეცით მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.
- თვალყური ადევნეთ, რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩევლის შესვლა.
- მიუთითეთ ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო.

## **ყურადღება!**

- თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მონიშვნა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, აუხსენით მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, და სთხოვეთ, დატოვოს საარჩევნო უბანი.
- თუ ულტრაიისფერი ფარნით მარკირების შემონიშნებისას გამოვლინდება, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩევლის ვინაობა აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს. სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი.
- ამომრჩეველი, რომელიც „ფიზიკური მდგომარეობის“, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის, გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას არ გადის მარკირების შემონიშნებისა და მარკირების პროცედურებს.